

საქართველოს კანონის პროექტზე „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ინტელექტუალური სამართალი წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის შორის სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ სფეროს, რომელიც პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) 42-ე მუხლის თანახმად, 2004 წლის ბოლოსათვის პარმონიზებული უნდა ყოფილიყო ევროსამართალთან და უსრუენველყოფილი დაცვის ისეთი დონე, როგორც არსებობს ევროკავშირში. 1999 წელს მიღებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის ექსპერტებმა, ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირის კანონმდებლობას, თუმცა არსებობდა რიგი საკითხებისა, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ევროკანონმდებლობასთან და რომლებმაც ასახვა კპოვეს (PCA)-ის საფუძველზე შექმნილი „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის ეროვნული პროგრამის“ შესაბამის სექტორში. (მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 განკარგულებით ეროვნული პროგრამა მოწონებულ იქნა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მისი ცალკეული სექტორების მიხედვით პარმონიზაციის დაწყების თაობაზე.)

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებული ცვლილებები და დამატებები პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე ნაწილად.

პირველი ნაწილი დაკავშირებულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებასთან „ინტერნეტში“.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი მიეკუთვნება ყველაზე დინამურად განვითარებად კანონმდებლობათა რიცხვს, რადგან ამ სფეროში უფლებების წარმოშობა, მათი დაცვის ფარგლები და გამოყენების სახეები მჭიდროდაა დაკავშირებული ტექნოლოგიურ პროგრესთან.

თუ თვალს გადავავლებთ საავტორო უფლებების დაცვის ისტორიას, ვნახავთ, რომ მასზე დიდ გავლენას ახდენდა ისეთი გამოგონებები, როგორცაა კინო, ტელევიზია, საკაბელო მაუწყებლობა, თანამგზავრი და სხვა.

დღეს თანამედროვე გამოწვევას წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიები და ინტერნეტი. ამან თავისი ახახვა უკვე მოუტოვა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებში (მაგალითად, „შემსრულებლების ფონოგრამის დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის რიპის კონვენცია“, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმის) ორი შეთანხმება, „საავტორო უფლებების შესახებ“, და „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“, ე.წ. WCT, WPPT), რომელთაც საქართველო მიუერთებულა და შესაბამისად, მათი მოთხოვნები უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაშიც. გარდა ამისა, აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ევროკავშირის არსებულ კანონმდებლობაში და მიღებული იქნა მრავალი ახალი დირექტივა თუ რეგლამენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ციფრული და საკომუნიკაციო სისტემები ერთის მხრივ წარმოადგენს უნიკალურ საშუალებას, რაც შეიძლება ფართო საზოგადოებაში გაიცნოს შექმნილი ნაწარმოებები. მაგრამ, მეორე მხრივ, გაცილებით რთულდება ავტორის უფლებების დაცვა და დღის წესრიგში დგება უფრო სრულყოფილი და მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების შექმნის საკითხი.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით ავტორებისათვის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებისათვის და მაუწყებლობის ორგანიზაციებისთვის დგინდება ახალი უფლება (მუხლები 18, 48, 49, 50). ნება დართონ ან აკრძალონ შესაბამისი ობიექტის ისეთი გამოყენება, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მათ მიერ არსებული ადგილიდან და დროს.

ამ ფრასის ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო საშუალება, რომლითაც ნაწარმოები ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს საზოგადოებისათვის, მაგრამ ძირითადად იგულისხმება "ინტერნეტი", როგორც ყველაზე ახალი და ფართოდ გავრცელებული სისტემა. (უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ საერთაშორისო შეთანხმებასა და არც ერთი ქვეყნის კანონში ტერმინი "ინტერნეტი" არ გამოიყენება, ისევე როგორც ეს ტერმინი არ არის გამოყენებული ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებში).

აღნიშნული ცვლილება ეყრდნობა ევროკავშირის მიერ 2001 წლის 2001/29/EC დირექტივას "საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის პარმონიზაციის შესახებ საინფორმაციო საზოგადოებაში," აგრეთვე ისმო-ს შეთანხმებებს საავტორო უფლებების შესახებ და შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (ე.წ. WCT, WPPT), სადაც პირდაპირ არის გათვალისწინებული ავტორების, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლების და მაუწყებლობის ორგანიზაციების ეს ახალი უფლება კიბერ სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროდირექტივის ეს მოთხოვნა გათვალისწინებულია ასევე კანონმდებლობის პარმონიზაციის ეროვნული პროგრამის შესაბამისი სექტორის 2.1. აბ რეკომენდაციაში, ხოლო წარმოდგენილ კანონპროექტში ასახულია შესაბამისად:

- მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტში--- ავტორებისათვის;
- 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტში---ფონოგრამების დამამზადებლისათვის;
- 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტში---ვიდეოგრამის დამამზადებლისათვის;
- 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის თ) ქვეპუნქტში---მაუწყებლობის ორგანიზაციებისათვის.

ნაწარმოების "ინტერნეტში" გამოყენებისას, განიდა ისეთი სახის პრობლემები, რომელთა წარმოდგენაც კი ძნელი იყო ადრე, როგორც ცნობილია, "ინტერნეტიდან" ციფრული ფაილის ჩამოტვირთვისას, ჩვენგან დამოუკიდებლად, ქსელში ჩნდება ამ ფაილის ეფემერული, დროებითი ასლები, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი კომერციული ხასიათი. მაგრამ ამასთანავე, ასლის შექმნა თავისი შინაარსით ეს უკვე რეპროდუცირებაა, რაზეც განსაკუთრებული უფლება ხაავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს ეკუთვნის.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით კანონის ტერმინების განმარტებას ემატება „დროებითი ასლის“ ცნება და ავტორისა და მომიჯნავე უფლების მფლობელის რეპროდუცირების უფლება არ გავრცელდება ასეთ დროებით ასლებზე (იხ. დამატება №57), ისევე როგორც ამას ითვალისწინებს ევროკავშირის 2001 წლის 2001/29/EC დირექტივა.

"ინტერნეტის" გამოგონებამ გამოიწვია ისეთი სრულიად ახალი ტიპის უფლების გაჩენა, როგორიცაა "ტექნოლოგიური საშუალებები", რომელიც არ წარმოადგენს დაცვის წმინდა იურიდიულ საშუალებას, რადგან, დღევანდელ პირობებში, მხოლოდ იურიდიული საშუალებები საკმარისი აღარ არის.

ყველაზე ახალის კარგად არის ცნობილი, რომ მწარმოებლები, თავისი პროდუქციის (კომპიუტერული პროგრამები, თამაშები და სხვა) დასაცავად უკვე ძალიან ფართოდ

იყენებენ სხვადასხვა მოწყობილობებს და კოდირების საშუალებებს, რათა უფრო ეფექტურად დაიცვან თავი უკანონო მოსარგებლეებისაგან.

ევროკავშირის 2001 წლის 2001/29/EC დირექტივის მოთხოვნათა შესაბამისად "საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის კარმონიზაციის შესახებ საინფორმაციო საზოგადოებაში", მომზადდა ცვლილება ტერმინ "ტექნოლოგიურ საშუალებასთან" დაკავშირებით (მუხლი 4"ტ"), რომელიც განიმარტება, როგორც ნებისმიერი ტექნოლოგია, მოწყობილობა ან მისი კომპონენტი, რომლის საშუალებით შესაძლებელია თავიდან აცილებული ან შეზღუდული იქნეს ის მოქმედებები, რომლებიც არ არის ნებადართული ავტორის ან სხვა უფლებამფლობელის მიერ.

ამავე დირექტივის შესაბამისად, კანონს ემატება ახალი ტერმინი "ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა" (მუხლი 4"ტ"), რაც გულისხმობს ნებისმიერი საშუალების გამოყენებას "ტექნოლოგიური საშუალების" გაუენებელყოფისათვის. (ასეთი ქმედების თვალსაზრისით მაგალითს წარმოადგენს დაცული კომპიუტერული პროგრამის კოდის გარტყვა.) კანონის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის ახალი რედაქციის თანახმად კი "ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა" ნაითვლება საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების უფლებების დარღვევად და გამოიწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ცვლილება "უფლების მართვის ინფორმაციასთან" დაკავშირებით, რადგან ასეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც აღბეჭდილი ან შესულია საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტში (მაგალითად, ფონოგრამა, ვიდეოგრამა და სხვა) და სხვასთან ერთად შეიცავს მონაცემებს ავტორის, მწარმოებლის, ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ, წარმოადგენს კანონიერი ეგზემპლარის იდენტიფიცირების უმთავრეს საშუალებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირის 2001 წლის 2001/29/EC დირექტივის შესაბამისად, მომზადდა ცვლილება "უფლების მართვის ინფორმაციის" განმარტებაში (მუხლი 4"უ"), რომელიც დაუახლოვდა ევროდირექტივის განმარტებას.

ცვლილებებისა და დამატებების მეორე ნაწილი ეხება აუდიოვიზუალური ნაწარმოების (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი, ანიმაციური ფილმი და სხვა) ავტორების უფლებებს (მუხლი 15).

კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, მხოლოდ კომპოზიტორს აქვს უფლება მიიღოს პონორარი აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების დროს.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით კი, აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების დროს, პონორარის მიღების უფლება, კომპოზიტორთან ერთად, ექნებათ სხვა ავტორებსაც, კერძოდ, დამდგმელ რეჟისორს, სცენარის ავტორს და დიალოგების ავტორს.

აღნიშნულ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორთა სოციალური დაცვისათვის, ასევე საქართველოში კინოს წარმოების განვითარების ხელშეწყობისთვის და ასახავს თანამედროვე ევროპულ ტენდენციებს კინოს სფეროში.

ცვლილებებისა და დამატებების მესამე ნაწილი ეხება ავტორებისა და მომიჯნავე უფლებების მფლობელების ახალ უფლებებს, რომლებიც აქამდე არ არსებობდა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გაქირავების სისტემაში უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა და

პრაქტიკულად, ცალკე ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. მაგრამ შესაბამისად გაიზარდა დარღვევების რაოდენობაც, რადგან გაქირავების საშუალებით გაცილებით ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ნაწარმოები და შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანონო ასლების დამზადებაც.

სწორედ ამ მხარდმა დაინტერესებამ "გაქირავებისადმი" განაპირობა ევროკავშირის 1992 წლის 92/100/EC დირექტივის მიღება "ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საავტორო უფლებებისა და აკავშირებული სოციალური უფლებების და გაქირავებისა და თხოვნების უფლებების შესახებ", რომლის შესაბამისადაც, გაქირავების, თხოვნებისა და მფლობელობის უფლების სხვაგვარი გადაცემა ცალსახად გამოყოფილია გაერცელების უფლებისაგან და ჩამოყალიბდა ცალკე უფლების სახით.

ანალოგიური ნორმები განმეორდა აგრეთვე ისმო-ს შეთანხმებებში საავტორო უფლებების შესახებ, და შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ (ე.წ. WCT, WPPT).

ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, კანონის მე-18 მუხლში "გაქირავება და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა" გამოყოფილია ცალკე უფლებად და აღარ წარმოადგენს "გაერცელების უფლების" ნაწილს. (აღსანიშნავია, რომ ამ რეკომენდაციას შეიცავს ასევე კანონმდებლობის პარამონიზაციის ეროვნული პროგრამის შესაბამისი პრიორიტეტული სექტორის, "ინტელექტუალური საკუთრების უფლებები", რეკომენდაცია 2.1. ა).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაწარმოების, შესრულების ჩანაწერის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ასლების პირველი გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის შემდეგ, არ ამოიწერება გაქირავების კონტროლის უფლება, რაც ასევე მნიშვნელოვანია უფლებამფლობელისათვის.

ამასთან ერთად, ისმო-ს "შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ შეთანხმების" (ე.წ. WPPT) შესაბამისად, გაფართოვდა შემსრულებლის უფლებები (მუხლი 47). წარმოდგენილი ცვლილებით, შემსრულებელს უნიჭება ფონოგრამაზე ნაწერილი შესრულების პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება, ყოველგვარი დათქმის გარეშე.

ცვლილებები შეეხო აგრეთვე სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა უფლებებს. კერძოდ, ევროკავშირის 2001 წლის 2001/84/EC დირექტივა "ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის შემდგომი გახევისების უფლების შესახებ ავტორის ხასრგებლად" ითვალისწინებს სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალის პირველად გახევისების შემდეგ მისი ყოველი მომდევნო გაყიდვის შემთხვევაში ავტორის მიერ პინორარის მიღების წესს.

ეს წესი ასახულია ცვლილებაში კანონის მე-20 მუხლთან დაკავშირებით, რომელშიც გადმოტანილია დირექტივაში მოცემული პროცენტები გასაყიდი ფასის სხვადასხვა ოდენობიდან.

ცვლილებებისა და დამატებების მეოთხე ნაწილი ეხება კანონში გამოყენებულ ტერმინოლოგიას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამებოდა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინებს და მათ შინაარსს.

მაგალითისთვის, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, ტერმინი "გამოცემა" იცვლება "გამოქვეყნებით" და იცვლება მისი განმარტებაც, რომელიც საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული ტერმინის "PUBLICATION" სუსტი თარგმანია.

ხოლო "გამოქვეყნება", იმ სახით, როგორც არსებობდა კანონის მე-17 მუხლში პირადი არაქონებრივი უფლებები, ამოღებულია, რადგან იგი სრულყოფილად ვერ ასახავს ავტორის ამ არაქონებრივ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შემოიფარგლოს

ნაწარმოების საზოგადოებისათვის გაცნობით გამოცემის, საჯარო შესრულების, საჯარო ჩვენების ან სხვა გზით.

ამ შემთხვევაში საუბარი უნდა იყოს ავტორის ერთ-ერთ უძლიერეს უფლებაზე, რომ მხოლოდ მან მიიღოს გადაწყვეტილება შექმნას თუ არა ნაწარმოები და მიიღოს თუ არა მან დასრულებული სახე.

შესაბამისად, შემოთავაზებელი რედაქციის მიხედვით, მხოლოდ ავტორს აქვს უფლება გადაწყვიტოს როდის, სად და რა ყოვრით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. (17-ე მუხლის პირველი პუნქტის აკ" ქვეპუნქტი).

შემოდის აგრეთვე ახალი ტერმინი "საჯარო გაცნობა", რომელიც ასევე შეესაბამება ევროდიპტებში და საერთაშორისო შეთანხმებებში დამკვიდრებულ ტერმინს "Communication to the Public". რომელიც მოიცავს საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის საზოგადოებისთვის გაცნობის ნებისმიერ საშუალებას, გარდა გამოქვეყნებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტში წარმოდგენილი მრავალი რედაქციული ცვლილება სწორედ ამ ცვლილებებითაა გამოწვეული (მუხლები 4 "დ", 4 "ე", 11, 18, 21, 23, 25, 32, 33, 39, 54, 55, 57 და სხვა).

ცვლილებებისა და დამატებების მეხუთე ნაწილი დაკავშირებულია "მონაცემთა ბაზებთან", რადგან ამ ობიექტმა განსაკუთრებით დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა კომერციული მონაცემთა ბაზების ხვედრის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით "ინტერნეტში".

დღეისათვის მოქმედ რედაქციაში მკაფიოდ არ არის გამოჩნული ორი ტიპის მონაცემთა ბაზა.

პირველი, "მონაცემთა ბაზა" – როგორც ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და სისტემატიზაციის გამო წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს (მაგალითად, კრებული, ენციკლოპედია და სხვა).

მეორე, "მონაცემთა ბაზა" – რომელიც არ წარმოადგენს ნაწარმოებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაცული უნდა იქნეს მისი დამამხადებლის უფლებები, რომელმაც გასწია მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდება მსხველპის მოპოვების, შემოწმების, გადამუშავებისა და სისტემატიზაციის საქმეში. დღეს არსებული რედაქციის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული ურთიერთობები შედის მისთვის უფლებების ხვედრში. სინამდვილეში, ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული ურთიერთობები უნდა რეგულირდებოდეს ისევე, როგორც ამას ევროკავშირის 1996 წლის 96/9/EC დირექტივა აწესრიგებს, ანუ *sui generis* ჩონჩებით, რომელიც განასხვავებს მონაცემთა ბაზის ზემოაღნიშნულ ორ ტიპს.

შესაბამისად, კანონის პირველ, 54-ე, 55-ე, 57-ე, 58-ე, 59-ე და სხვა მრავალ მუხლში განხდა ტერმინი "მონაცემთა ბაზა". რომელიც განსხვავდება იმ მონაცემთა ბაზისაგან, რომელიც უკვე არსებობს კანონის მერ მუხლით განსაზღვრულ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ჩამონათვალში.

ცვლილებებისა და დამატებების მეექვსე ნაწილი ეხება ნაწარმოებების "საქპატენტში" რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

როგორც ცნობილია, ნაწარმოებზე საავტორო უფლებები წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან და ამ უფლებების განხორციელებისათვის არაერთი რეგისტრაცია ან სხვა ფორმალობები საჭირო არ არის.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ავტორს ან სხვა უფლებამოსილებს უფლება აქვს მისროს შესაბამის ორგანიზაციას და რეგისტრაციაში გაატაროს თავისი ნაწარმოები და სხვა ობიექტი რეგისტრაციის

კანონის მე-9 მუხლის არსებული რედაქცია ითვალისწინებდა ასეთი რეგისტრაციის შესაძლებლობას "საქპატენტში". ცვლილებები კი შეეხო თავად რეგისტრაციის პროცედურებს და დახსენება წარმოსადგენი მასალების ჩამონათვალი.

ცვლილებებისა და დამატებების შემოქმედება წავიდა ეხება ავტორთა უფლებების დაცვისა და განხორციელების უმნიშვნელოეს ინსტიტუტს - **ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას**, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და იქმნება თავად ავტორების მიერ რეგისტრირებული კავშირის, ასოციაციის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პრაქტიკულად ერთადერთი და საერთაშორისოდ აპრობირებული ეფექტური სისტემა ერთერთობების მოქსრებებისა უამრავ ავტორსა და უამრავ მოსარგებლეს შორის რადგანაც შექმნილია თითოეული ავტორის ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდეს ინდივიდუალურად.

წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები ეხება იმ აუცილებელ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი ორგანიზაცია (მუხლები 63, 63¹, 64, 65, 66). კერძოდ:

- მკაფიოდ განისაზღვრა, რომ დაქმნილია უფლებების ან უფლებათა მფლობელების ერთი და იგივე კატეგორიების მიხედვით ორი ან რამდენიმე ორგანიზაციის შექმნა, რათა არ მოხდეს საქმიანობის დაკლები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ავტორთა უფლებების დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა მარტო ევროკავშირის ქვეყნებში დანერგილი პრაქტიკაა, არამედ ასეთივე რეკომენდაციებს იძლევა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია და იუნესკო.

- დეტალურად გაიწერა ორგანიზაციის რეგისტრაციის პირობები.

- ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვის მიზნით იგი ვალდებულია გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში, რომელშიც შევა წლიური შემოსავალი, ადგილობრივი და უცხოელი უფლებების მფლობელებისათვის შეგროვებული და განაწილებული მონიტორინგის თანხა, სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

- ორგანიზაცია აგრეთვე ვალდებულია წარუდგინოს "საქპატენტს" წესდება, ცვლილება ორგანიზაციის წესდებაში, ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებები უცხოეთის ანალოგიურ ორგანიზაციებთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გამოყენებისათვის დადგენილი ტარიფები და სხვა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვა ქვეყნის ავტორებისათვის მონორარის შეგროვება და შეუფერხებლად გადასახეხა ამ ორგანიზაციების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში ირდევია არა მარტო უცხოელ ავტორთა უფლებები, არამედ არ სრულდება სახელმწიფოს მიერ ხედასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიც, რაც ქვეყნისათვის საერთაშორისო სანქციების დადების საფუძველიც კი შეიძლება გახდეს.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სახელმწიფო საკმაოდ აქტიურად აკონტროლებს ასეთი ორგანიზაციების შექმნასა და საქმიანობას, სოფჯერ კი იტოვებს უფლებას შეასწავოს ასოციაციის საქმიანობა, თუ იგი წარიმართება არასწორად ან ავტორთა ინტერესებს სახიანოდ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ასეთი ორგანიზაციის ეფექტურ მუშაობას ძალიან დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს და ხშირ შემთხვევაში, ავტორთა შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს.

კანონპროექტით შემოთავაზებული მოდელი, ევროპის სოფიერთი ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო რბილი და ლიბერალურია. თუმცა, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში, "საქპატენტს"

ექნება უფლება მოთხოვოს კოლექტიური მართვის ორგანიზაციას ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს ორგანიზაციას წევრთა ხაერთი კრების მოწვევის შესახებ. სადაც განხილული უნდა იქნეს "საქპატენტის" მიერ დახმული საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს შეიცავს ასევე კანონმდებლობის პარამონიზაციის ეროვნული პროგრამის შესახებ პრიორიტეტული ხელშეკრულება. კერძოდ, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად, 1993 წლის 27 სექტემბრის №93/83/EEC დირექტივის შესაბამისად, კაბელით რეტრანსმისიის (ხელახალი გადაცემა) შემთხვევაში საავტორო და მომთხროვე უფლებების განხორციელება (დაცული ობიექტების გამოყენებისათვის პონორარის ოდენობის დადგენა, მისი გადახდისა და შეკროვების წესები) უნდა განხორციელდეს მხოლოდ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ.

აღნიშნული მოთხოვნა საავტორო უფლებებთან მიმართებაში გათვალისწინებულია იმ ცვლილებაში, რომელიც წარმოადგენს კანონპროექტით შედის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტში.

რაც შეეხება მომთხროვე უფლებების მფლობელებს, მოქმედი კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფონოგრამის ეთერში და კაბელით გადაცემისას პონორარის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება მოსარგებლებსა და კოლექტიური მართვის ორგანიზაციას შორის შეთანხმებით. ამასთანავე წარმოდგენილი კანონპროექტით, 52-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტში სიტყვებს, „ფონოგრამის გადაცემა ეთერში და კაბელით“ დაემატა „კაბელით ხელახალი გადაცემა“.

1993 წლის 27 სექტემბრის №93/83/EEC დირექტივის ერთ-ერთ მოთხოვნას ასევე წარმოადგენს უფლებების ბოროტად გამოყენების პრევენცია კოლექტიური მართვის ორგანიზაციასა და საკაბელით ეთერში შორის მოლაპარაკების დროს. აღნიშნული მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფომ აღმოსტრაციული ან სამოქალაქო სამართლით უნდა უზრუნველყოს მოლაპარაკებების კუთხისინდისიერად და შეუფერხებლად წარმართვა.

ამდენად, საავტორო და მომთხროვე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და ასევე, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით (რომლის თანახმად, „საქპატენტი“ ადგენს პონორარის ოდენობას მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში) მსგავსი რეჟიმი გაეროცვლდა კაბელით ხელახალი გადაცემისას პონორარის გადახდის დროს და პონორარის ოდენობა ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზე შესაძლებელია ასევე დაადგინოს „საქპატენტმა“. (იხ. ცვლილებები, მუხლი 18(7)).

კანონპროექტის ინიციატორთა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ხოლო კანონპროექტის ავტორთა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან „საქპატენტთან“ და ეკონომიკური პოლიტიკისა და სასაბოლოო საკითხების ქართველ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრთან GEPLAC-თან ერთად.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტურ დამატებით დანახარჯებს.